

№ 43/1581 PX 4832/1



საკუთრულობა
წმინდა ნიკოლოზი

ფერისცვალების დედათა მონასტერი
თბილისი
1999 წ.

წმიდა ნიკოლოზი მოხუცებულობაში შეეძინათ მის მშობლებს, თეოფანესა და ნონას. შობისთანავე უდიდესი სასწაული მოეწივნა დედამისს, იგი მანამდე სნეული იყო და მთლიანად განიკურნა. კიდევ უფრო განაცვიფრა მეორე სასწაულმა მისი ნათლობის დამსწრენი. ნათლობისას სულ მთლად ჩვილი ნიკოლოზი სამი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა. წმიდა მამების განმარტებით ასე აღიდა ნიკოლოზმა წმიდა სამება. ჩვილი ოთხშაბათსა და პარასკევს მხოლოდ ერთხელ იღებდა დედის რძეს. შემდეგ ცოცხალი რომ წამოიზარდა დამოუკიდებლად იწყო გაძარში სიარული, ლოცვებისა და წმიდა წერილის კითხვა. ერთხელაც გაძრისკენ მიმავალი მოხუც ქალს შეხვდა, რომელიც ძლივს მილასლასებდა. შეეცოდა, გადასახა ჯვარი და ქალი მაშინვე განიკურნა. მშობლები, რაღა თქმა უნდა ხედებოდნენ ღვთისგან გამორჩეული რომ იყო მათი შვილი და აღსაზრდელად ბიძამისს, ქალაქ პათარას ეპისკოპოსს მიაბარეს. მანაც საოცარი სიწმიდით აღზარდა იგი და მღვლადაც აკურთხა.

სწორედ იმ დროისათვის პათარაში მცხოვრებმა ერთმა კაცმა, უაღრესი სიღუბნით ჩავრდნილმა, გადაწყვიტა საროსკიპოს გახსნა და თავისი სამი ქალიშვილის მეძავეებად დაყენება. ღმერთმა არ ინება ოჯახის ასე განადგურება და კაცს მხსნელად ნიკოლოზი მოუვლინა. წმინდანს არ სურდა თავისი ქველმოქმედების გამხელა, ღმერთი მივიდა და ფანჯრიდან ერთი ქისა ოქრო შეუგდო უბედურ მამას. დილით, კაცმა რომ ქისა იპოვა, აღიდა ღმერთი. მერე ამ მზითვით გაათხოვა უფროსი ქალიშვილი. ცოცხალი შემდეგ ისევ შეუგდო ნიკოლოზმა მას მეორე ქისა და გაამზითვა კაცმა მეორე ქალიშვილიც. მაგრამ მერე სულ ფხიზლობდა, რომ არ გამოპარვოდა მისი ოჯახის კეთილისმყოფელი და მესამედაც რომ მივიდა ნიკოლოზი იგივეს გასაკეთებლად, ფეხებში

ჩაუვარდა და კოცნა დაუწყო. მაშინ სთხოვა წმინდანმა არავისთვის ეთქვა მისი ამბავი. თუმცა დიდხანს არ დაიძალა მისი საგნობების ამბავი და იგი იძულებული გახდა დაეგოვებინა ქალაქი, იერუსალიმში გაექცა დიდებას. სწორედ იერუსალიმისკენ მიმავალ გემზე ასვლისას იხილა ეშმაკი დალუქვას რომ უქადა გემს და გააფრთხილა ამის შესახებ გემზე მყოფნი. მართლაც ამოვარდა ქარიშხალი და იწყო გემმა აქეთ-იქედ საშინელი რწევვა. ყველანი ნიკოლოზს შესთხოვნენ შეველას. ითხოვა ნიკოლოზმაც უფლისგან შემწეობა და ჩადგა ქარიშხალი. ამით გახარებულმა ერთმა მებღვაურმა ანძაზე მოინდომა ჯვრის აღმართვა, მაგრამ გადმოაგდო იგი ეშმაკმა და განუტევა სული. წმინდა ნიკოლოზმა ახლა მისი სულის დაბრუნება შესთხოვა ღმერთს და გაცოცხლდა მებღვაური. სიხარულითა და დიდი კრძაღვით მოილოცა ნიკოლოზმა წმიდა ადგილები. უკან დაბრუნებისას სულ სხვა მხარეს მოინდომეს მისი წაყვანა გემის პაგრონებმა. ევედრებოდა ნიკოლოზი მათ არ მოქცეულიყვნენ ასე, მაგრამ ისინი თავისას არ იმლიდნენ. მაშინ ამოვარდნილმა ქარიშხალმა შეაბრუნა გემი და იგი ლიკიის ნაპირებს მიაყენა. ამით შეშინებული მზაკვარი მებღვაურები გულმოწყალებ წმინდანმა უვნებლად გაუშვა.

უკან დაბრუნებულს სურდა მღუმარებაში გაეგარებინა ეს წუთისოფელი, მაგრამ ღვთის ანგელოზმა უბრძანა ერთი დარჩენა. მაშინ ნიკოლოზი ლიკიის მთავარ ქალაქ მირონში წავიდა, იქ, სადაც არ იცნობდნენ და ასე უნდოდა თავისთვის ეცხოვრა. სწორედ ამ დროს გარდაიცვალა ქალაქის მთავარეპისკოპოსი იოანე და ეუწყა ერთ-ერთ უხუცეს ეპისკოპოსს მღვდელმთავრად დაყენებინათ ის აღამიანი, რომელიც იმ დილით ყველაზე ადრე შევიდოდა გაძარში. ისიც ამცნო, ამ კაცის სახელი ნიკოლოზი იქნებაო. ასეც მოხდა. გაძარში იმ დილით

პირველი ნიკოლოზი შევიდა. ასე აკურთხა უფალმა იგი მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსად. მადლიერების ნიშნად წმინდანმა გაძრის მშენებლობა წამოიწყო. შესჩივლეს ერთხელ მშენებლებმა:

– მხოლოდ ეს ერთი უკრი გვაქვსო.
მაშინ აკურთხა ნიკოლოზმა უკრი და მისგან იმდენი ერგოთ, რომ ყველა დანაყრდა, ის კი არადა დარჩა კიდევ.

სწორედ იმ ხანებში უსჯულო იმპერატორმა დიოკლეტიანემ იწყო ქრისტიანთა დევნა და ამობუგა 20.000 მლოცველი გაძარში. შეიპყრეს წმიდა ნიკოლოზიც. საპყრობილედან იგი დიდმა კონსტანტინემ გაათავისუფლა და პატივით დააბრუნა თავის ადგილზე. ამასობაში მოიწვიეს ქალაქ ნიკეაში საეკლესიო კრება, რომელსაც წმიდა ნიკოლოზიც ესწრებოდა. როცა კრებაზე არიოზი ღვთის გმობას მოჰყვა, ნიკოლოზმა კვერთხი ჩაარტყა მკრეხელს. ასეთი საქციელი მას წესის დარღვევად ჩაუთვალეს და მღვდელმთავრის ღირსებაც ჩამოართვეს. მაგრამ იმავე დამით კრების მონაწილეებმა იხილეს, როგორ იდგა წმიდა ნიკოლოზი და მარჯვნიდან მაცხოვარი აწვდიდა სახარებას, მარცხნიდან კი ღვთისმშობელი აღებდა სამღვდელმთავრო მოფორს. მაშინ წმინდა მამებმა ნიკოლოზი კვლავ აღადგინეს თავის ხარისხში.

წმინდა ნიკოლოზი წარმოადგენს ობოლთა, მშიერთა, მწუხარეთა ნუგეშისმცემელს, შიშველთა შემმოსველს, მართლმადიდებლობის მცველსა და მადიდებელს. წმიდა ნიკოლოზი გარდაიცვალა 345 წლის 6 დეკემბერს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მირონის საკრებულო გაძარში, ხოლო 1587 წლის 9 მაისს მისი წმიდა ნაწილები გადაასვენეს იგალიის ქალაქ ბარაში. წმიდა ნიკოლოზის არა მხოლოდ წმიდა ნაწილები, არამედ მისი ხატებიც სასწაულთმოქმედიან. ვინც მას რწმენით შესთხოვს დახმარებას უმალ მასთან ჩნდება.

დასავლეთის ქვეყნებში მას სანტა კლავსად
მოიხსენიებენ, ჩვენში კი კეთილ და მოწყალე
თოვლის ბაბუად იცნობენ. შობა-ახალ წელს მას
დიდი სიხარულით ეგებებიან ყველანი. თავისი
მოწყალებითა და სასწაულებით იგი დღესაც
მრავალ ოჯახს იფარავს.

ტროპარი:

„კანონად სარწმუნოებისა და ხატად
სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ
ქრისტემან, სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით,
ამისთვისაცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და
სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო
მღვდელმთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესა
დმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.